

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრები



იაგო კაჭკაჭიშვილი

იაგო კაჭკაჭიშვილი პროფესიით სოციოლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი.

გარდა ამისა, არის კვლევითი არასამთავრობო ორგანიზაცია „სოციალური კვლევისა და ანლიზის ინსტიტუტის“ დირექტორი. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით განხორციელდა სოციალური კვლევები პოლიტიკის, განათლების, ჯანმრთელობის, იდენტობის, ეროვნულობის, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების პრობლემებზე. იაგო კაჭკაჭიშვილი არის ათამდე წიგნისა და 60-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია ინგლისურ და რუსულ ენებზე. სხვადასხვა დროს იყო/არის: ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის საპატიო წევრი და ა.შ.



ნინო მახაშვილი

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და აქვს ფსიქიატრის დიპლომი. ის წლების მანძილზე ინტენსიურად მუშაობდა სოციალური ფსიქიატრიისა და ფსიქოტრავმატოლოგიის სფეროში - როგორც დევნილებსა და ლტოლვილებთან, აგრეთვე პატიმრებთან, ასევე მუშაობდა წამების და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თერაპიასა და ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციაზე. ამჟამად ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში-თბილისის“ გუნდთან ერთად ცდილობს კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის ხელშეწყობას და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, ჰუმანური ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემების და სამსახურების დანერგვას.

ნინო ხელმძღვანელობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურს ცენტრს, არის ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლექტორი ამავე უნივერსიტეტში. ის არის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეროვნული ექსპერტი; ადამიანის უფლებების და ჯანმრთელობის საერთაშორისო ასოციაციის (ISHHR) გამგეობის წევრი; ადამიანის უფლებების და ჯანმრთელობის ორგანიზაციათა საერთაშორისო ფედერაციის (IFHHRO) რეგიონული წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ის ატარებს ტრენინგებს ადამიანის უფლებებსა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე სხვადასხვა პროფესიონალებისთვის სხვადასხვა ქვეყანაში.




ცირა ჭანტურია

წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფაკულტეტი, ასევე იურიდიული ფაკულტეტი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში.

2003 წლიდან მუშაობს ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ (PRI) სამხრეთ კავკასიის რეგიონულ ოფისში, რომელსაც 2010 წლიდან ხელმძღვანელობს. 10 წელზე მეტია მუშაობს წამების პრევენციისა და პენიტენციური სისტემის მონიტორინგის საკითხებზე სხვადასხვა პროექტის ფარგლებში. აქტიურად იყო ჩართული წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების, შემდგომ კი იმპლემენტაციის ხელშემწყობ კამპანიაში. 2006-2007 წლებში ხელმძღვანელობდა რუსთავის #6 დაწესებულების საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიას.

2007 წლიდან არის წამებასთან ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს დამკვირვებელი წევრი PRI-დან. მონაწილეობდა წამებასა და არაადამიანური მოპყრობის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში. ამჟამად ჩართულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით და დღის წესრიგით გათვალისწინებული წამებისა და სასტიკი მოპყრობის საკითხებზე პრიორიტეტების შესრულების მონიტორინგის პროცესში.



ანა ნაცვლიშვილი

ანა ნაცვლიშვილი დაიბადა 1984 წლის 31 დეკემბერს. 2006 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი, 2007 წელს მიენიჭა ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის (უნგრეთი) სამართლის მაგისტრის წოდება, ხოლო 2013 წელს ესექსის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის წოდება.

2007-2008 წლებში სტაჟირება გაიარა დიდ ბრიტანეთში, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაში „მე-19 მუხლში“ და სამხრეთ აფრიკაში, კვაზულუ-ნატალის უნივერსიტეტის სამართლის კლინიკაში.

2008-2011 წლებში მუშაობდა საქართველოში, უფლებადაცვით ორგანიზაციაში „ადამიანის უფლებათა ცენტრში“ და საერთაშორისო ორგანიზაციის „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის ოფისში.

2012 წელს მუშაობდა დიდ ბრიტანეთში, ესექსის უნივერსიტეტთან არსებულ გარდამავალი მართლმსაჯულების ქსელში, ხოლო 2013 წელს - ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის

უფლებათა ოფისში.

2014 წლიდან მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, 2014-2017 წლებში სამჯერ იქნა არჩეული ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარედ. ამავე პერიოდში ხელმძღვანელობდა ოცდაათზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციისაგან შემდგარ კოალიციას დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის.

ანა ნაცვლიშვილი იყო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი (2017), სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კომისიის წევრი (2016-2017), ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მართლმსაჯულების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის კომისიის წევრი (2016).

ანა ნაცვლიშვილი არის საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების თაობაზე არაერთი კვლევისა და პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი. სხვადასხვა დროს ექსპერტის რანგში თანამშრომლობდა არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მათ შორის, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისსა და ევროპის საბჭოსთან.

მიღებული აქვს მრავალი პროფესიული სტიპენდია და სიგელი. 2017 წელს მიენიჭა საქართველოს შვიდი უმაღლესი სასწავლებლის მიერ დაწესებული ჯილდო - „წლის უფლებადამცველი“.

2018 წლის 9 იანვარს დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად.



ნინო გობრონიძე

ნინო გობრონიძე პროფესიით იურისტი, 2005 წლიდან მუშაობს ადამიანის უფლებათა სფეროში. ამჟამად კურირებს ადამიანის უფლებათა კანონმდებლობისა და პოლიტიკის რეფორმის მიმართულებას აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროგრამაში კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (PROLoG).

2013-2017 წლებში ნინო ხელმძღვანელობდა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივ პროექტს "ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში", ხოლო 2005-2011 წლებში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და ღია საზოგადოება სამართლებრივ ინიციატივაში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა პატიმართა უფლებების, ინფორმაციის თავისუფლების, ფინანსური გამჭვირვალობის, სასამართლო დამოუკიდებლობისა და არჩევნების თემატიკაზე. იგი

	<p>არის არაერთი პუბლიკაციის თანავტორი.</p> <p>ნინოს დამთავრებული აქვს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა სამაგისტრო პროგრამა და, ასევე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.</p>
--	---